

ახლაშახარი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის უმაღლესი და სოციალური მეცნიერებათა სკოლის ურუნალიტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის მე-3 ფონის სტუდენტთა სასწავლო გაზეთი

№ 2
იანვარი, 2014

ჩვენი ღაბიუბი

ეს ჩემი ჯგუფის მიერ მომზადებული პირველი გაზეთია, ჩემთვის კი პირველი რედაქტორული გამოცდილება და პირველი უშუალო შეხება გაზეთის მომზადებასთან. საუნივერსიტეტო კურსს, რომლის ფარგლებშიც ეს სასწავლო გაზეთი დაიგეგმა, აქვს უნივერსიტეტის ოსტატობა (გაზეთი) ჰქვია. თუ მკითხველი ჩემს ნერიუს კითხულობს, ესე იგი ჩვენმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და თეორიულად დაგეგმილმა გაზეთმა რეალურადც შეისხა ხორცი.

გვინდოდა, გაზეთი ყველასათვის მაქსიმალურად საინტერესო ყოფილიყო – ალმამატერის ახლანდელი სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისათვის, მათთვის, ვისაც სურს, ალმამატერელი გახდეს და, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც, მისი ავტორებისთვისაც.

საუნივერსიტეტო გაზეთი, როგორც წესი, გარკვეულ სქემას მისდევს, წერს მეტ-ნაკლებად შემოსაზღვრულ თემატიკაზე, რაც საბოლოოდ, შესაძლოა, მხოლოდ მასზე მომუშავე გუნდისათვის იყოს საინტერესო. თემა ჩვენც შემოვსაზღვრეთ – ჩვენი უნივერსიტეტი, სტუდენტობა, სწავლა-განათლება, მაგრამ ეს სფერო თავისთავად იმდენად ფართო და საინტერესოა, რომ არავითარი შეზღუდვა არ გვიგრძნობია. თუმცა ჩვენი გაზეთის ძირითადი თემა ჩვენი უნივერსიტეტია, ჩემთვის, როგორც რედაქტორისთვის, მთავარი ამოცანა იყო, გაზეთში ბევრი ისეთი მასალა ყოფილიყო, რომელიც ერთგვარი მოულოდნელობა იქნებოდა მკითხველისთვის.

გაზეთის ფურცლებზე ნაკითხავი ძალიან საქმიან და გულწრფელ ინტერვიუს ალმამატერის რექტორთან, პროფესორ მამუკა თავხელიძესთან, საიდანაც გაიგებთ ინფორმაციას უნივერსიტეტის ისტორიისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ვიცი, რომ ჩვენს მკითხველს, რომელიც ძირითადად ჩვენივე უნივერსიტეტის სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებელი თუ თანამშრომელია, ძალიან აინტერესებს როდის გადავაღოთ ახალ შენობაში. მოკლე პასუხი ასეთია: მალე! უფრო ვრცელს კი სწორედ ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.

გაზეთში წარმოგიდგენთ ერთ-ერთ წარმატებულ ალმამატერელს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ სწორედ უნივერსიტეტის სპეციალობა შეიძინა ჩვენს უნივერსიტეტში. მასთან ინტერვიუ შეიძლება, ერთგვარი მოტივაცია: წლების შემდეგ, როდესაც სხვა ჯგუფი მოამზადებს ასეთსავე გაზეთს, შესაძლოა, ამ რუბრიკის სტუმარი სწორედ გაზეთის რომელიმე დღევანდელი მკითხველი იყოს.

ჩვენი გაზეთი კარგი გზამკვლევაა მათთვისაც, ვისი მიზანიც საერთაშორისო განათლების მიღება და შემდგომში საერთაშორისო ბაზარზე დასაქმებაა. ინტერვიუ ალმამატერის რექტორის მოადგილესთან და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფესორ ნინო ქემერტელიძესთან საინტერესო და ამომწურავ ინფორმაციას მოგცემთ ამის შესახებ. ამავე თემატიკას ეხება სკაიპი-ინტერვიუ შევედით ქალაქ მალმოდან. გაიგებთ, რატომ შეიძლება, დაჯარიმდეთ, თუ შევედით ლამით გადაწყვეტთ ბანაობას.

ეს გაზეთი ერთგვარი ნაკრები იმ ცნობებისა და ამბების, რომლებიც, პირველ ყოვლისა, ჩვენ, სტუდენტებს გვცხება, შემდეგ – ჩვენს უნივერსიტეტს და ბოლოს – მივლ მსოფლიოს. სწორედ ამიტომ არის იგი ასეთი მრავალფეროვანი.

მინდა, ეს სარედაქციო ნერილი მადლობით დავასრულო და ჯგუფის სახელით დიდი მადლობა მოვასხნო ჩვენს ხელმძღვანელს, პროფესორ პაატა ნაცვლიშვილს ჩვენი პირველი გაზეთის მომზადებაში განუხლები რჩევა-დარიგებებისა და დახმარებისთვის, უშუალოდ ჩემი სახელით კი – დიდი ნდობისთვის და მოტივაციისთვის. ეს ნამდვილად კარგი შანსია გამოცდილების შესაძენად და ავტობიოგრაფიაში პაატა, მაგრამ მნიშვნელოვანი ჩანაწერის გასაკეთებლად: სტუდენტობისას იყო გაზეთი „ალმამატერის“ რედაქტორი.

ლუკა ხაჩიძე

ალმამატერის ისტორიკოსი, მის დღევანდელ მოსახლეობასა და უახლოეს გარემოებაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მამუკა თავხელიძეს ვისაუბრეთ. ეს ინტერვიუ რექტორთან ერთგვარი გზამკვლევაა მათთვისაც, ვისი მიზანიც საერთაშორისო განათლების მიღება და შემდგომში საერთაშორისო ბაზარზე დასაქმებაა.

– რა იყო თქვენთვის, როგორც რექტორისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის ოცნხები ისტორიის მანძილზე?

– ძალიან საინტერესო შეკითხვაა და, სხვათა შორის, ამგვარი კითხვა არც ერთ უნივერსიტეტს არ დაუსვამს ჩემთვის. ძალიან მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელი ფაქტია ის, რომ ჩვენთან მუშაობდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: აკაკი ბაქრაძე, კოტე მახარაძე, ლევან სანიკიძე, როგორც არის რეზო მიშველაძე, ქალბატონი მარია ლორთქიფანიძე და ბევრი სხვა ძალიან საინტერესო და ცნობილი მოღვაწე. მე ვგულისხმობ იმ პერიოდს, როდესაც უნივერსიტეტი ის-ის იყო იდგამდა ფეხს 90-იანი წლების დასაწყისში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტმა მაშინვე დაიწყო სრულიად ახალი კონცეფციის განხორციელება. ჩვენ შემოვიტანეთ სწავლების სრულიად ახალი მოდელი, რაც გულისხმობდა თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას და ამ ორი კომპონენტის ერთ მთლიანობაში სწავლებას. ამის შედეგია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე, რაც დადასტურდა 2000 წელს ოუნესკოს განათლების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა, რომელმაც საქართველოში დასაქმების ბაზარი გამოიკვლია. მისი კვლევის თანახმად, ჩვენი უნივერსიტეტი პირველ ხუთეულში აღმოჩნდა დასაქმების მაჩვენებლით. სწორედ ამ წინაპირობებმა მოგვცა საშუალება, გაგვერმარჯვა ვეროკაგუმიის პროექტში „ტექნოპუს ტასისი“, რომელიც გულისხმობდა საქართველოში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას. ამიტომ ის, რაც საქართველოს კანონმდებლობამ 2005 წელს დაადგინა, ჩვენ უკვე 2002 წელს გვექონდა განხორციელებული. ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულად, ლიდერი ვიყავით და ამ გამოცდილებამ ბევრი რამ შესძინა უნივერსიტეტს.



ინტერვიუ რექტორთან

ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ჩვენთან ტრადიციულად იქცა ცნობილი ადამიანების მოწვევა, სტუდენტებს აქვთ საშუალება, უშუალოდ მიმართონ მათ კითხვებით და მიიღონ ამომწურავი პასუხები. აღსანიშნავია, რომ ორნი ამ მოწვევითავე ჩვენთან ვიზიტის შემდეგ მალევე გახდნენ პრეზიდენტები. ვგულისხმობ მიხეილ სააკაშვილს და გიორგი მარგველაშვილს. ამ რანგის სტუმრების მოსვლა უკვე თავისთავად ნიშნავს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ აღიარებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 1991-92 წლებში დაფუძნებულ უნივერსიტეტებს შორის მხოლოდ ჩვენ და სდასუ შემორჩა. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტმა გაუძლო წლების გამოცდას და არაერთი დაბრკოლება გადალახა. ამ პერიოდში სახელმწიფო სექტორი სერიოზულ ზენოლას ახდენდა კერძო სექტორზე, თუმცა აკრედიტაციის სისტემამ სიტუაცია შეცვალა. ალმამატერმა ადვილად აულო ალლო ამ სისტემას, რადგანაც ჩვენ 2001-2002 წლებში უკვე გვექონდა მასთან შეხება და გამოცდილება. დღეს პროგრამულად და მეთოდოლოგიურად ალმამატერი ნამდვილად ლიდერია ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა მალევე დაიწყო საერთაშორისო ინტეგრაცია. ჩვენს სტუდენტს აქვს საშუალება, აიღოს ორმაგი დიპლომი ზედმეტ დანახარჯების გარეშე. ის მიიღებს არა მხოლოდ მსოფლიოს მიერ აღიარებულ ჩვენს დიპლომს, არამედ ინგლისისა თუ სხვა პარტნიორი უნივერსიტეტის დიპლომსაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო მობილობის განხორციელების უფლება, რაც არ გულისხმობს ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში გადასვლას, არამედ ერთ უნივერსიტეტში ყოფნას და სხვა უნივერსიტეტში კრედიტების დაგროვებას. მაგალითად, ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ, წავიდნენ გერმანიაში და იქ გაიარონ ერთი სემესტრი. რამდენიმე სტუდენტმა გერმანიაში იმდენად გამოიჩინა თავი, რომ დაგვიტოვა სტაჟირებაზე „ვოლკს-ვაგენ ბანკში“ და „დოიჩე ბანკში“. თავისთავად, „დოიჩე ბანკში“ სტაჟირება უკვე ძალიან დიდი გამოცდილებაა.

რამაც კარგი შედეგები მოიტანა და სალიცენზიო გამოცდების შედეგებით ჩვენს მიერ მომზადებული სტუდენტი სტომატოლოგები პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

ჩვენთვის დიდი პატივი იყო, რომ 2013 წელს „სოფლის მამულებელთა“ პრიზი მივიღეთ, როგორც საუკეთესო უმაღლესმა სასწავლებელმა.

– მალე ალმამატერის ახალი შენობა ექნება. რა პროცესშია ახლა მშენებლობა და ხომ არ გართულებდა დამატებითი კორპუსის გამო უნივერსიტეტის მართვა?

– ვერასოდეს ვიფიქრებდით, თუ ჩვენ ოდესმე შეეძლებოდა, გვექონოდა საკუთარი შენობა. ჩვენ ეს პროცესი ცოტა დროში გავგეხნულა, რაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა. ეს იქნება ძალიან თანამედროვე, არასტანდარტული კორპუსი, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს, ისწავლოს და დაისვენოს კიდევ. ეს იქნება დასავლური ტიპის პირველი კამპუსი საქართველოში. აუდიტორიუმში დაიგება მაღალი ხარისხის ბელგოური კავროლინი, რომელიც არის ანტიალერგიული, იკრავს მტვერს და ჰაერს არ აბინძურებს. ამჟამად მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. სამწუხაროდ, ძალიან დაგვიანდება გათბობის კომპანია. გათბობის წუნი მალევე შეენიშნება და ახლა ის ფაქტობრივად თავიდან კეთდება. ჰაერის ფილტრაციის სისტემის დამონტაჟების დასრულების შემდეგ მხოლოდ სამღებრო სამუშაოებია დარჩება.

ახალი კორპუსი, რა თქმა უნდა, გარკვეულ დისონანსს შეიტანს მუშაობაში, მაგრამ მსოფლიოში ასეა, დასასრული მე-2 გვირგვინი

033 – უნივერსიტეტი

ეს რიცხვი, რომელიც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შეესაბამება აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ნუსხაში, შესაძლოა აბიტურიენტებისთვის ილბიანი აღმოჩნდეს. აბიტურიენტები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით სარეიტინგო ქულათა პირველ ათეულში მოხვდებიან და ჩვენს უნივერსიტეტში ჩარიცხებიან, გათავისუფლებიან სწავლის გადასახადისაგან. იმ აბიტურიენტებს, რომლებიც პირველ ან მეორე ნომრად 033-ს აირჩევენ, მაგრამ ვერ მოიპოვებენ სახელმწიფო გრანტს, სწავლის ღირებულება შეუმცირდებათ 20 პროცენტით. ის აბიტურიენტები კი, რომლებიც პირველ ნომრად 033-ს აირჩევენ, ჩვენს უნივერსიტეტში ისარგებლებენ პროგრამით გრანტს+გრანტი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი წარმომადგენელი ისწავლის ალმამატერში, თითოეულს სწავლის საფასური შეუმცირდება 20 პროცენტით.

თეორიულ ცოდნასთან ერთად, ჩვენს უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი, რომ სტუდენტმა პრაქტიკული ცოდნაც მიიღოს. ამ მიზანს ემსახურება მომავალი უნივერსიტეტისთვის სასწავლო ურუნალიტიკის განვითარება და სასწავლო ტელესამონტაჟოები, მომავალი სტომატოლოგებისთვის – სტომატოლოგიური კლინიკა, მომავალი იურისტებისთვის – აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ტექნოლოგიით აღჭურვილი კრიმინალისტიკის ლაბორატორია და იმპორტის უნივერსიტეტი სასამართლო დარბაზი. იუნესკოს განათლების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, ჩვენი უნივერსიტეტი დასაქმების მაჩვენებლით პირველ ხუთეულშია საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის.

033 – ალმამატერი, ანუ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ჩვენი, თქვენი და ქვეყნის წარმატების გარანტიაა.

თათული ჩანაძვა



ახალი თვითგაპარტოვება



2013 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნები, რომელმაც დემოკრატიულად, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩაიარა, დადებითად შეაფასეს როგორც მონაწილე სუბიექტებმა, ასევე სადამკვირვებლო გუნდმა და ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ მშვიდ და თავისუფალ გარემოში მოუხდათ მუშაობა. არჩევნებს წარმართავდა საარჩევნო კომისია, რომლის ხელმძღვანელიც ნინი ახვლედიანი იყო. კომისია დაკომპლექტებული იყო ხუთი წევრისგან. არჩევნებში მონაწილეობდა სამი კანდიდატი: რატი რატიანი, თენგიზ იმნაიშვილი და ანდრია ტაბატაძე. პროცესს აკვირდებოდა სამივე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ორ-ორი პიროვნება.

სტუდენტური თვითმმართველობის საპრეზიდენტო არჩევნებში 225 ხმით გაიმარჯვა ორიდროული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თენგიზ იმნაიშვილმა.

არჩევნებისა და თვითმმართველობის სამომავლო გეგმების შესახებ ჩვენ სწორედ მას გავესაუბრეთ.

- რა იყო თვითმმართველობაში შენი მოსვლის მიზანი?

– მოსვლის მიზანი ალბათ ის იყო, რომ მქონდა ბევრი განსხვავებული და ორიგინალური იდეა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებ მომავალი ორი წლის განმავლობაში.

- ელოდი თუ არა გამარჯვებას?

– დღითიდღე ვრწმუნდებოდი, რომ გავიმარჯვებდი. ვგრძობდი, ასე იქნებოდა. მაქსიმალურად დავიხარჯე. გავაცანი ხალხს, ვინ იყო თენგიზ იმნაიშვილი და შედეგამაც არ დააყოვნა.

- პირველ რიგში რის შეცვლას გეგმავ?

– პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ მინდა სტუდენტურ თვითმმართველობაში ჩაებას ყველა და მხოლოდ გარკვეული წრე არ იღებდეს გადაწყვეტილებას. რაც აქამდე გაკეთებულა ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ მე ვეცდები, რომ უფრო მიზანმიმართული ვიყო და მინიმუმამდე დავიყვანო უკმაყოფილო სტუდენტთა რიცხვი.

- რა სახლეს გეგმავ კონკრეტულად?

– უახლოეს მომავალში ვგეგმავ თვითმმართველობის სტრუქტურის შეცვლას. მინდა, ჩამოვყალიბო სენატი, სადაც იქნებოდნენ სტუდენტთა და ჩემ მიერ არჩეული ხალხი, რომლებიც მიიღებენ გადა-

წყვეტილებას და ეს გადაწყვეტილება არ იქნება ერთპიროვნული.

- როგორ ჩაიარა არჩევნებმა?

– რა თქმა უნდა, არჩევნებს თავისი დაძაბულობა ახლავს. იყო პატარ-პატარა შეკამათებები, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა სერიოზული კონფლიქტის გარეშე ჩაიარა. ვფიქრობ, სტუდენტებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან მე მომცეს ხმა. ბოლომდე ამ საქმეში ვარ და მაქსიმალურად დავიხარჯები, რათა მათი იმედები გავამართლო.

- რამდენად ჩართული იქნები სტუდენტთა პრობლემების მოგვარებაში?

– რამდენადაც ვიცი, სტუდენტური თვითმმართველობა ვერ ერევა სასწავლო პროცესში, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დავეხმარები თითოეულ სტუდენტს. რა თქმა უნდა, სტუდენტური თვითმმართველობა იმისთვისაა, რომ სტუდენტური ცხოვრება გაახალისოს და თუ რამე პრობლემა იქნა, შეძლებისდაგვარად სწრაფად მოვავაგროთ.

- რით გაგვაოცებ? რა სახლების შემოგვთავაზებ?

– სახლები ნამდვილად იქნება. პირველივე კვირაში ჩავატარებ საქველმოქმედო აქცია და ამაზე არ გავჩერდები. სამომავლო კიდევ ბევრი სახლები გვაქვს ჩაფიქრებული. ვაპირებთ, გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც ვერ არ გაკეთებულა და რასაც ვერ ვეროთ სიურპრიზად დავტოვებ.

- რამდენად შრომისუნარიანი გუნდი გყავს და როგორ ეწყობი ერთმანეთს?

– გუნდი ძალიან კარგი მყავს. ვერ გავიმარჯვებდი, რომ არა გუნდის შრომისუნარიანობა. ნამდვილად მონდომებულნი არიან და ყველას აქვს კრეატიული აზროვნება.

- მიგაჩნია თუ არა, რომ შენს წინამორბედს ჰქონდა მისთვის? თუ კი, როგორ აპირებ მათ გამოსწორებას?

– ბევრჯერ მიტყვამს და ახლაც აღვნიშნავ, რომ ჩემი წინამორბედი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე არის არაჩვეულებრივი პიროვნება, პირდაპირი და სამართლიანი. ის ძალიან კარგი პრეზიდენტი იყო, ბევრი რამ გააკეთა უნივერსიტეტისთვის. ჩემი მიზანია მისი გაკეთებული შევინარჩუნო და შემდგომ გავაუმჯობესო. მსურს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სახელი მის ფარგლებს გარეთ ერთ-ერთი საუკეთესო იყოს და შიდა სამზარეულოც დალაგებული და მონესრიგებული გვექნოდეს.

- წინა პრეზიდენტი ნიჭით გამოირჩეულ სტუდენტებს ესმარებოდა თავიანთი ნიჭის რეალიზებაში, აპირებ თუ არა ამ კურსის გაგრძელებას?

– მას ნამდვილად კარგი კურსი ჰქონდა არჩეული. რა თქმა უნდა, გავაგრძელებ ამ გზას, ხელს შევუწყოთ თითოეულ სტუდენტს და მათ ნიჭს ფართო გასაქმების მიცემ.

რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ან უკვე ყოფილი პრეზიდენტი დავით სარიშვილი 2012 წლიდან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისიისთან ერთად, სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმებზე მუშაობს, ხოლო თვითმმართველობის პრეზიდენტობიდან გადადგომის შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში აგრძელებს მუშაობას სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად.

მარიამ ხარაძე



დავხვარო!

ჩვენი უნივერსიტეტის ორიდროული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს ნანიკო ხაჩიურს ექიმებმა ლიკეკია დაუდგინეს. ნანიკოს სასწრაფოდ ესაჭიროება ძვლის ტვინის გადაწერვის ოპერაცია, რომელიც უცხოეთში უნდა ჩატარდეს და რომლის სახსრებაც ოჯახს არ გააჩნია. 19 წლის გოგონას გამოსაჯანმრთლებლად 200 000 ევროსა საჭირო.

უნივერსიტეტის თვითმმართველობამ უკვე გამართა საქველმოქმედო აქცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში და შემოსული თანხა ნანიკოს ოჯახს გადაეცა. სტუდენტების და ოჯახის წევრების თხოვნას დახმარების შესახებ საზოგადოების არაერთი ცნობილი წევრიც გამოეხმაურა.

ნანიკო ხაჩიურს (ტელენამუცანი): ყველას მინდა გთხოვოთ, ვისაც გაქვთ ელემენტარული საშუალება. მე მგონი, ერთი, ორი ან სამი ლარი, ვისაც რამდენი გვაქვს, არ შევცდის ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ ჩვენ რომ გადავადგინოთ ნანიკოს, ამით გადავარჩენს ნანიკოს,

რომელსაც ძალიან სჭირდება ჩვენი დახმარება. ამიტომ ვიყოთ გულსხმიანები და მხარში ამოვუდგეთ მას, რათა შეინარჩუნოს სიცოცხლე.

ნანა ცინცაძე (პოეტი): თითოეული ჩვენთაგანის სულიერი მოთხოვნილებაა, დავდგეთ გაჭირვებული ადამიანის გვერდით. ამ შემთხვევაში ნანიკო ხაჩიურს სჭირდება ჩვენი დახმარება.

დათო ტურაშვილი (მწერალი): ჩვენი ისედაც მცირერიცხოვანი ქვეყანა და ხალხი ვართ და ყველა სიცოცხლე განსაკუთრებულად ძვირფასია. ამიტომაც მინდა ყველამ ერთად შევძლოთ, თუნდაც ერთი სიცოცხლის გადაარჩენა. ყველამ ერთად აღმოუჩინოთ დახმარება 19 წლის ნანიკო ხაჩიურს. მას ძალიან სჭირდება ჩვენი თანადგომა. ყველას, ვისაც აქვს შესაძლებლობა, ჩათვალოს, რომ კონკრეტულად მასზეა დამოკიდებული ამ ადამიანის გადაარჩენა. ამიტომაც, ყველას მინდა ვთხოვო და მივმართო, რომ გადავადგინოთ ნანიკოს, ამით გადავარჩენს ნანიკოს,

ალგაგაბერი და ქველმოქმედება

ჩვენი უნივერსიტეტის როგორც ძველი, ისე ახალი თვითმმართველობისთვის ქველმოქმედება მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტი დავით სარიშვილი დღეს სტუდენტური ურთიერთობის სამსახურის უფროსია. მას, რა თქმა უნდა, შეხება აქვს ახალ თვითმმართველობასთან და თითოეულ სტუდენტთან ერთად ისიც აქტიურადაა ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში.

დავით სარიშვილის თქმით, მისი პერიოდის თვითმმართველობა ქველმოქმედების კუთხით ძალიან აქტიური იყო. პირველი საქველმოქმედო ღონისძიება, რომელიც მის მიერ იყო ორგანიზებული, ახალგაზრდა გიორგი მიშჩუანისთვის გამართული საქველმოქმედო კონცერტი იყო. კონცერტი კლუბ „ნაით ოფისში“ გაიმართა, რომელსაც ბევრი ცნობილი სახე ესწრებოდა. შემოსული თანხა მთლიანად გიორგი მიშჩუანს გადაეცა მისი მკურნალობის ხარჯების დასაფარავად.

დავით სარიშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ყოველწლიურად ხდებოდა თვითმმართველობის წარმომადგენელთა და უნივერსიტეტის სტუდენტთა ვიზიტი გლდანის მეორე სასკოლო პანსიონში. პანსიონის ბავშვებს გადაეცემოდათ სხვადასხვა ნივთი, ტკბილეული, ტანსაცმელი. ამას გარდა, პერიოდულად გროვდებოდა სხვა ნივთებიც, რომლებიც სხვა თავშესაფრებზე ნაწილდებოდა. ამ ყველაფერს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. არც ქველმოქმედების და არც სხვა კუთხით ახალ

თვითმმართველობას ვერ-ვერობით კარგად არ ვიცნობთ, მაგრამ ვიცით, რომ მათი მოსვლიდან პირველივე კვირაში უნივერსიტეტი დაეხმარა კოჯრის ბავშვთა სახლს. თვითმმართველობის ახალი პრეზიდენტის თენგიზ იმნაიშვილის განხადებით, ის კიდევ ბევრი საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარებას გეგმავს თავის გუნდთან ერთად და განსაკუთრებით უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ მამუკა თავხელიძის დიდ წვლილს და დახმარებას აღნიშნავს ამ კეთილ საქმეში.

მათი უახლოესი საქველმოქმედო ღონისძიება აგჭა-ლაში მცხოვრები შვიდსულიანი ოჯახის დახმარება იქნება. ქველმოქმედებასთან დაკავშირებით ბევრი სხვა პროექტიც იგეგმება. ვერ-ვერობით არ არის ცნობილი სრული ინფორმაცია მომავალ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ფაქტი ერთია: ჩვენი უნივერსიტეტისთვის ქველმოქმედება პრიორიტეტს არასოდეს დაკარგავს.

მარიტა კომპანიძე



ამას წინათ რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტმა, ბიზნესმენმა მიხეილ ხუბუტიამ ნანიკოს დახმარების ფონდში 50 000 დოლარი გადაიტანა.

მიხეილ ხუბუტიამ: „მივიღე გადაწყვეტილება და მე, როგორც როგორც ქართველმა, ავიღე ვალდებულება და დღეს ნანიკო ხაჩიურს 50 000 დოლარი გადავურიცხე. მოგმართავთ ბიზნესმენებს და შეძლებულ ადამიანებს, გავერთიანდეთ ამ ულამაზესი გოგონას, 19 წლის ნანიკო ხაჩიურის ირგვლივ და მივცეთ შესაძლებლობა განაგრძოს სიცოცხლე.“

თანხა შეგიძლიათ გადაიტანოთ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

საქართველო:
 მიმღების ბანკი: "საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი: BAGAGE22;
 გავარანის ქ. 29ა, თბილისი, 0160
 მიმღების დასახელება: ხაჩიური ბიჭიკო
 მიმღების ანგარიშის ნომერი: GE59BG000000077989800
აშშ:
 Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33
 Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 29a Gagarin street, Tbilisi 0160, Georgia
 Beneficiary: KHACHURI BICHIKO
 Account: GE59BG000000077989800
გერმანია:
 Intermediary Bank: Commerzbank, Frankfurt, Germany;
 SWIFT:COBADEFF
 Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 29a Gagarin street, Tbilisi 10160, Georgia
 Beneficiary: KHACHURI BICHIKO
 Account: GE59BG000000077989800

ასევე, შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან დარეკოთ სპეციალურ ნომერზე: **0901 700 091**. ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

გარდა ამისა, ფინანსური თუ სხვა ტიპის დახმარების გასაწევად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნანიკოს მამას, ბიჭიკო ხაჩიურს ნომერზე: 555575778.

გთხოვთ, გამოიყენეთ შანსი და მცირე წვლილი მაინც შეიტანოთ ისეთ დიდ საქმეში, რასაც ადამიანის სიცოცხლის გადაარჩენა ჰქვია. ეს გამოცდაა, რომელსაც ყველანი ერთად წარმატებით ჩავაბარებთ.

გაზეთ „ალმატურის“ შემოქმედებითი ჯგუფი



ალმატატიდან „იმაღლა“

შურნალის ტიპი სოსო კაციტაძემ ბრიტოლ როპატივის სახელის უნივერსიტეტი 2005 წელს დაამთავრა. სწავლის პარალელურად რადიო „იმაღლი“, შიდად კი ტელეკომპანია „იმაღლი“ მუშაობდა. სოსო კაციტაძის დროს აღნიშნა, რომ მისი ნარმატივის ერთ-ერთი საფუძვლიანი წიგნი უნივერსიტეტიდან „იმაღლი“ ტელევიზიამაღ, ამას მასთან ინტერვიუში განიხილავთ.

– რატომ გადაწყვიტეთ ალმატატიდან სწავლა? ეს ვინმის რჩევამ განაპირობა თუ პირადი გადაწყვეტილება იყო?

– ალმატატი 2001 წელს ჩავიციე. იყო პერიოდი, როდესაც განათლების სისტემაში ვერ ვხედავდი პოპულარული იყო ჩანაწერები და კორუფცია, ხოლო განათლება, რომელიც სკოლაში გეძინდა მიღებული, მაინც და მაინც ბევრის მომცემი არ იყო.

ალმატატიში სრულიად შეშინებული, ლა კარის დღეზე მოხვდი. მაშინ არც კი მიფიქრია ამ უნივერსიტეტი სწავლაზე, მით უმეტეს უნივერსიტეტის ფაკულტეტი. მაშინ ოჯახის გავლენის გამო სხვა გეგმები შექმნიდა, მინდოდა, მესწავლა იურისპრუდენცია, ეკონომიკა, ის პროფესიონალი, რომელიც მაშინ ძალიან პოპულარული და შემოსავლიანი იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ უნივერსიტეტში ძალიან მიმიზიდა, და ვინტერესი და დავეცხარი ლა კარის დღეს. როგორც აღმოჩნდა, ჩემი ატმოსფეროს კარგი ნიშნების გამო ალმატატიში გამოცდების ჩაბარების გარეშე მიმიღეს.

– რომელ ლექტორს გამოარჩევდით და რატომ?

– ჩემთვის ძალიან დასამახსოვრებელი იყო თემურ ფაფრამაშვილი ურთიერთობა. რაც ყველაზე მეტად მეხმარებდა წარმატებაში, ეს არის ის, რაც ალმატატიში სწავლის პერიოდში თემურმა მომცა, ამიტომ, მგონია, რომ სტუდენტებისთვის სატელევიზიო სახელოსნო ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იყო ის ადგილი, სადაც უშუალო შეხება შექმნა ჩემს პროფესიასთან. კამერა, სა-მონტაჟო, მქონდა ყველაფერი ის, რაც მჭირდებოდა პრაქტიკის გასავლელად. ასევე გამოვარჩევდი ხათუნა კატარავას, ის არის იმ-ვითი პროფესიონალი, კარგი გემოვნების ადამიანი. უნივერსიტეტი სწავლის პერიოდში ინტელექტუალურ კინოს გაცეცხანი. მისი დამსახურება ის, რომ კინე-მატორგრაფიაში კარგი გემოვნება ჩამოიყალიბდა.

– რა კრიტერიუმების მიხედვით შეგარჩიათ და დატოვათ ბატონმა თემურმა სატელევიზიო სახელოსნოში?

– სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი. თავიდან ბევრი ვიყავით, თუმცა საბოლოოდ ოთხი თუ სამი ბავშვი დავრჩით. თემურს თავისი სელექციის მეთოდები აქვს.

– ალმატატიში მიღებულ-მა ცოდნამ განაპირობა თუ არა თქვენი პროფესიული განვითარება?

– რასაკვირველია, ალმატატიში მიღებული ცოდნა დიდ-ნილად განსაზღვრა წარმატება. ჩვენ გვეძინდა ყველა ის პირობა,

– ძალბატონი ნინო, როდის და რა მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი?

– ცენტრი 1995 წელს შეიქმნა. მისი მიზანი თავიდანვე იყო და დღესაც არის ის, რომ სტუდენტებმა გაიფართოონ ცოდნა, აიმაღლონ კვალიფიკაცია და უცხოეთში მიიღონ შესაბამისი განათლება.

– დღესდღეობით რომელი ქვეყნის რომელ უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობთ და რა ტიპის პროექტებს ასორციელებთ?

– კავშირი გვაქვს ძალიან ბევრ უნივერსიტეტთან როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში. პოპულარულია ქართულ-ბრიტანულ-უნივერსიტეტი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ერთი წლით მიემგზავრებიან ბუდაპეშტის ბიზნისის საერთაშორისო სკოლაში და კურსის დასრულების შემდეგ იღებენ როგორც ქართულ, ასევე ბრიტანულ დიპლომს. კავშირი გვაქვს ბრიტანეთთან, გერმანიის ალდეინჰაიმის უნივერსიტეტთან, სადაც ჩვენი სტუდენტები სისტემატურად მიემგზავრებიან. ახლახან დამყარდა ურთიერთობა ნანტის უნივერსიტეტთან საფრანგეთში და სამართლის სკოლის ორი სტუდენტი უკვე იქ აგრძელებს სწავლას. ვთანამშრომლობთ ჟენევის ბიზნისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. ამ პროგრამაში მონაწილე სტუდენტი გარკვეულ საგნებს სწავლობს ონლაინ რეჟიმში, გარკვეულ საგნებს – ჟენევაში, ალმატატიში, რომლის დამთავრების შემდეგაც სტუდენტი ნამდვილი პროფესიონალი ხდება.

– თქვენი აზრით, რა არის საქართველოს იმისთვის, რომ აღანიშნა წარმატებას მიაღწიოს?

– ჩემი აზრით, ბევრი წერილობითი, მათ შორის მიზანდასახუ-ლობა. ზუსტად უნდა იცოდეს, რა გინდა, სად ხედავ შენს თავს იმი-ტომ, რომ უნივერსიტეტის აქვს მრავალი მიმართულება, მათ შორის არის: ტელევიზია, პრესა, რადიო, ახლა უკვე ვებ-საბოლოო ჯამში ერთი კონკრეტული საქმე უნდა აკეთო. ასევე მნიშვნელო-ვანია ნიჭი, მონდომება, შრომის-მოყვარეობა, ამბიცია.

– რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ქართველ-ბრიტანულ-უნივერსიტეტის მონაწილეობის მსურველი სტუდენტი?

– ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება ბიზნისის ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძ-ლიათ. ბაკალავრიატის სამი დონის დამთავრების შემდეგ ისინი მეოთხე კურსს ბუდაპეშტში გაივლიან, მაგისტრანტები კი ერთი წელი ჩვენთან ისწავ-ლიან, ერთი წელი კი – ბუდა-პეშტის ბიზნისის საერთაშორისო სკოლაში.

– არის თუ არა პროექტი მონაწილეობა დამატებით თანხებით დაკავშირებული?

– ამ პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის იქმნება სპეციალური ჯგუფი. მათ სამი წლის განმავლობაში აქვთ ისეთი გადასახადი, რომელიც მეოთხე კურსზე ბუდაპეშტ-



საერთაშორისო განათლება – საერთაშორისო კარიერისთვის

ში სწავლის თანხასაც ფარავს. კვებისა და ცხოვრების ხარჯებს უნივერსიტეტი არ აფინანსებს.

– სტუდენტებს შორის ასევე ძალიან პოპულარულია ახალგაზრდული ორგანიზაცია აისეკის მიერ შემოთავაზებული პროექტები. რას გვთქვით ამის შესახებ?

– აისეკი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტი თანამშრომლობს. სტუდენტები ექვსი კვირით ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიემგზავრებიან. პროგრამის განმავლობაში მონაწილეები იღებენ საერთაშორისო გუნდთან მუშაობის გამოცდილებას, აქვთ ტრენინგები და ესეივე დროს მართვის, კულტურული სხვაობების, მიზნის დასახვის, ლიდერობის, პროექტების მართვისა და სხვათა შესახებ. გრი-ვოლ რამდენიმე უნივერსიტე-ტის სტუდენტები ამ პროექტში მონაწილეობას ყოველწლიურად იღებენ. აისეკის მიერ შერჩე-ული რამდენიმე სტუდენტის პროექტში მონაწილეობას უნივერსიტეტი აფინანსებს, ცხოვ-რებას და ერთჯერად კვებას კი თავად აისეკი ფარავს. მონაწი-ლეები რამდენიმე სტუდენტის და მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილებით გამდიდრე-ბულინი ბრუნდებიან.

– აუცილებლად უნდა გკითხოთ ერასმუსის შესახებ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამაა. როდის და როგორ შედგა თქვენი თანამშრომლობა?

– 2012 წლიდან ჩვენი უნივერსიტეტი არის კონსორციუმის წევრი, რომელმაც გაიმარჯვა ევროკავშირის პროექტში „ერასმუს მუნდუსი – მეზობელი ალმოსავლეთ რეგიონების ინტეგრაცია უმაღლესი განათლების კოოპერაციაში“ (EMINENCE). პროექტში მონაწილეობს პოლონეთის, საფრანგეთის, შვედეთის, პორტუ-გალის, იტალიის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს უნივერსიტეტები. ჩვენ შემოთავაზება მივიღეთ პოლონეთის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტისგან, რომელიც ძირითადი კოორდინატორია, დავთანხმდით, გავაგზავნეთ მონაცემები, დავაკმაყოფილეთ ყველა მოთხოვნა და მას შემდეგ

ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი, რომელიც რეგულარულ კონტაქტს ამყარებს უცხოეთის საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრებთან და ხელს უწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის პროცესის განხორციელებას. ცენტრი მრავალმხრივი საქმიანობით არის დაკავებული – ამზადებს და აქვეყნებს ინფორმაციას მიმდინარე საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა სახის პროგრამების შესახებ, მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო ფორუმების შესახებ და ხელმისაწვდომს ხდის მას თანამშრომელთა და სტუდენტთათვის, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას და ა. შ. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ჩვენ რექტორის მოადგილეს და ამ ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ქემერტელიძეს გავსაუბრეთ.

დაკმაყოფილება აუცილებელია საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისა და სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის. ესენია: აკრედიტაცია, მომუშავე პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობა. ყურადღება ექცევა განათლებით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებს და ყველაფერ იმას, რასაც უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობა შექცია.

– ალმოსავლეთი პროგრამების გარდა რას აკეთებს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი სტუდენტებისთვის?

– ჩვენ ყოველ გაზაფხულზე ვანხორციელებთ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციას. მსგავსი კონფერენციები უნივერსიტეტის დაარსების დღიდან იმართება, თუმცა აქამდე ეს იყო ან საუნივერსიტეტო ან კიდევ უნივერსიტეტთაშორისი საქართველოს მასშტაბით. შარ-შან კი კონფერენციამ საერთაშორისო სახე მიიღო. მუშაობა, რა თქმა უნდა, სექციურად მიდის. ხშირად იმართება კონფერენციები ფაკულტეტების მიხედვით, სულ ახლახან, 2013 წლის 11 დეკემბერს ჩატარდა ჩვენი უნივერსიტეტის მედიცი-ნის სკოლის მიერ ორგანიზე-ბული სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისი კონფერენცია თემაზე: „მონევა - რისი ჯანმრთელობისთვის“. კონფერენ-ციაში მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ რობაქიძის სახელო-ბის უნივერსიტეტის, თბილი-ის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სხვა სა-განმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა. ასეთი შეხვედრები ხშირად იმართება. ჩვენ ცვდილობთ, აქედანვე მი-ვაჩვიოთ სტუდენტები სამეცი-ნო მუშაობას.

– გვთქვით თუ არა 2014 წელს საერთაშორისო კონტაქტების გადრეზავებას ან სხვა სიახლეს?

– ჩვენ მუდამ ვცდილობთ, რომ სიახლე შევთავაზოთ ჩვენს სტუდენტებს, ყოველთვიურად ახალ-ახალ ორგანიზაციებთან ვაფორმებთ ხელშეკრულებებს, სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან ვამყარებთ ურთიერთობას და, რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც 2014 წელი იქნება გამონაკლისი.

საუბარი ჩაინერა თა ღ30ნაქქმ





ნელოვანი სამეცნიერო მუშაობაც მიდიოდა. ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა უაღრესად პრესტიჟული იყო. აღსანიშნავია, რომ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან განსხვავებით, იქ მოხვედრა დამოკიდებული იყო არა მალალ სოციალურ წარმომავლობაზე, არამედ სათანადო განათლების დონეზე. შესაბამისად, მნიშვნელობა არ ჰქონდა სტუდენტი არისტოკრატის შვილი იქნებოდა, თუ უბრალო



ბოლონია: უნივერსიტეტი და პროცესი



ბოლონიის უნივერსიტეტი უძველესია ევროპის უწყვეტად მოქმედ უნივერსიტეტებს შორის. იგი იტალიის ულამაზეს ქალაქ ბოლონიაში მდებარეობს. მისი დაარსების თარიღი დიდხანს უცნობი იყო, სანამ ისტორიკოსთა ჯგუფმა ჯოსუე კარდუჩის ხელმძღვანელობით მისი დაარსების ზუსტი დრო არ დაადგინა: 1088 წელი.

გლენის, უმთავრესი კრიტიკოები ცოდნა იყო. ბოლონიის უნივერსიტეტში ქალებსაც შეეძლოთ სწავლა და არა მარტო სწავლა, არამედ ლექტორად მუშაობაც.

ბოლონიის უნივერსიტეტში სამართალი, თეოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა და სხვა სამეცნიერო საგნები ისწავლებოდა. უნივერსიტეტმა მრავალი ქართველი გამოიარა, მაგრამ ერთი დღითაც არ შეუნწყვეტია ფუნქციონირება. მას ჰქონდა როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი პერიოდები, თუმცა მისი, როგორც განათლების უდიდესი კერის მოწოდებელი ვერაფერი მოახერხა.

ბოლონიის უნივერსიტეტი ისტორიულად ცნობილია კანონიკური და საზოგადოებრივი სამართლის საუკეთესო სწავლებით.

საინტერესოა, რომ სიტყვა „უნივერსიტეტი“ წარმოშობა სწორედ ბოლონიის უნივერსიტეტს უკავშირდება.

2000 წლიდან ბოლონიის უნივერსიტეტს ლათინურენოვანი სახელი - „ალმა მატერ სტუდიორუმ“ ეწოდა, რაც სწავლის დედაბოძს აღნიშნავს.

ბოლონიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაა. 1735 წელს რომის პაპმა ბენედიქტე XIV-მ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას 25,000 ნაბეჭდი ტომი და 450 ხელნაწერი შესწირა.

დღეს ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ერთ მთლიან ფრთას იკავებს და მასში 150-ზე მეტი სამუშაო ადგილია.

ბოლონიის უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტთა გაერთიანების – უტრეხტის ქსელისა და ეუროპეისის წევრია. 1988 წელს ფართოდ აღინიშნა მისი დაარსების 900 წლისთავი.

ბოლონიის უნივერსიტეტი და თავად ბოლონია უკავშირდება ბოლონიის პროცესს, რომელშიც დღეს ჩვენი უნივერსიტეტიცაა ჩართული. ეს პროცესი გულისხმობს ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებას და პარამონიზაციას.

ბოლონიის პროცესი უნივერსიტეტების დიდი ქარტით დაიწყო. ეს იყო პროცესის საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც სწორედ 1988 წელს უძველესი უნივერსიტეტის 900 წლისთავზე მიიღეს ბოლონიაში. ამ საპროგრამო დოკუმენტის შემუშავებაში 382-მა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა.

საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წლის მაისში შეუერთდა, ნორვეგიის ქალაქ ბურგენში გამართულ კონგრესზე.

იმ პრინციპების დასაყრდენად, რომლებიც უნივერსიტეტებმა მიზნად დაისახეს, საჭირო იყო თანამედროვე პირობების შესაფერისი ეფექტური საშუალებების გამოყენება. ევროპის უნივერსიტეტები საინფორმაციო მონაცემების ურთიერთგაცვლისა და სწავლის გაუმჯობესებისათვის გასაძირებულ ერთობლივ პროექტებს განიხილავენ, როგორც აუცილებელ ფორმას შემდგომი განვითარებისთვის. ამ პროექტების მიხედვით, უნივერსიტეტები ხელს უწყობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას.

ამავედროულად, უნივერსიტეტები მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნევენ ექვეყნურ სტატუსის, ნოდებების, გამოცდილებისა და სტიპენდიების მინიჭების ერთიან პოლიტიკას.

ბოლონიის პროცესი სცილდება გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს და ადასტურებს სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგაგების სასიცოცხლო აუცილებლობას.

ეკა სალუშმაძი



10 საუკეთესო ქალაქი სტუდენტებისთვის

რით უნდა იყოს გამორჩეული სტუდენტისათვის სასურველი ქალაქი? ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მაცხოვრებლებზე ან აკადემიურ რესურსებზე. იქნებ, თქვენ უპირატესობას დამისცხვრებთ ანიჭებთ ან სულაც იაფი საცხოვრებელი და ხელმისაწვდომი ფასები გსურთ.

სტუდენტებისათვის საუკეთესო ქალაქების დასადგენად „QS Best Student Cities“-მა ჩამოაყალიბა 14 კრიტერიუმი, რომელთაგანაც 5 მთავარია გამოყოფილი:

უნივერსიტეტების რეიტინგი; სტუდენტთა ურთიერთობები; ცხოვრების დონე და ხარისხი; დასაქმების რეიტინგი; ხელმისაწვდომობა.

თითოეული ქალაქი ყოველ კატეგორიაში 100-ბალიანი სისტემით შეფასდა და, საბოლოოდ, სტუდენტთათვის მსოფლიოს 10 საუკეთესო ქალაქი გამოვლინდა.

1. პარიზი
უკვე მეორე წელია, რაც საფრანგეთის დედაქალაქი პირველ ადგილზეა. QS-მა პარიზის 17 უნივერსიტეტი შეაფასა. აქ ცხოვრება საკმაოდ ძვირია, მაგრამ დაბალანსებულია სწავლის დაბალი გადასახადით. ცხოვრების დონე და ხარისხი საკმაოდ მაღალია. რაც შეეხება დასაქმებას, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა და მათი უმეტესობა ადვილად პოულობს სამუშაოს. სტუდენტებისთვის ეს ქალაქი ნამდვილი სამოთხეა.

2. ლონდონი
ინგლისის დედაქალაქი ორგზის მეორეადგილოსანია. იმ 18 უნივერსიტეტისგან, რომლებიც საბოლოოდ, ორი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს შორისაც არის. ლონდონი კიდევ ერთ კომპონენტს ღივობს – აქ დასაქმების ხარისხი საკმაოდ მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონი ოთხ გამარჯვებულ ქალაქს ცხოვრების დონით ჩამორჩება, ის რეიტინგს მაინც ინარჩუნებს განათლების ხარისხით, გასაცარი კულტურით, საინტერესო და მრავალფეროვანი დამის ცხოვრებით.

3. სინგაპური
წინა გამოკითხვის შედეგებით, ის მეცხრე ადგილზე იყო, ახლა კი მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვაში ქალაქის მხოლოდ ორი უნივერსიტეტი იყო, მისი რეპუტაცია მაინც მაღალია. სინგაპურის მცირე და მჭიდროდ დასახლებული მოქალაქეთა დაახლოებით 42 პროცენტი უცხოელი გახლავთ.

დასაქმების თვალსაზრისით და ცხოვრების ხარისხით ის უმაღლეს შეფასებებს იღებს.

4. სიდნი
ქალაქი ცნობილია ნავსადგურებითა და ულამაზესი ხედვებით, საოპერო თეატრითა და ახლომდებარე პლაჟებით. სიდნიმ ყველა კატეგორიაში მაღალი შეფასებები მიიღო, გარდა საყოფაცხოვრებო ხელმისაწვდომობისა. საშუალო სწავლის გადასახადი აქ ლონდონისაზე ბევრად მაღალია.

5. მელბურნი
მესუთე ადგილზე თავისი 7 უნივერსიტეტით მელბურნია. ის რეიტინგით ოდნავ ჩამოუვარდება სიდნის. ავსტრალიის ეს ქალაქი გამოირჩევა სტუდენტთა ურთიერთობებით, მიმზიდველი ამინდით, ბევრი პლაჟითა და საინტერესო ღამის ცხოვრებით.

6. ტოკიო
შვეიცარიის ყველაზე დიდი ქალაქი მესუთე ადგილს მელბურნთან იყოფს. წინა გამოკითხვასთან შედარებით მან ორი ადგილით წინ გადაინაცვლა. ქალაქი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა, აქ იშვიათად ხდება დანაშაული და, სხვა ქალაქებთან შედარებით, ცხოვრება საკმაოდ იაფია. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვაში ორი უნივერსიტეტი დასახლებული, ციურიზი საკმაოდ მოთხოვნადი და ერთ-ერთი სრულყოფილი ქალაქია.

7. ჰონგკონგი
ამ ქალაქმა წინა გამოკითხვის შემდეგ 12 ადგილით წინ გადაინაცვლა და მეშვიდე ადგილზე გავიდა. ჰონგკონგი ყველაზე ხელმისაწვდომი ქალაქია, აქ ფასები ძალიან დაბალია, მაგრამ საცხოვრებელია საკმაოდ ძვირი. ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ხმაურიანი ქალაქის შვიდი უნივერსიტეტიდან სამი

მსოფლიოს 40 საუკეთესო უნივერსიტეტებს შორისაა.

8. ბოსტონი
მიუხედავად იმისა, რომ ის მესამედან მერვე ადგილზე გადავიდა, ბოსტონი მაინც რჩება ცნობილი და სტუდენტებისათვის საყვარელ ქალაქად. ბოსტონი მდიდარია კულტურული ნიმუშებით. აქ უხვადაა მსოფლიო კლასის ხელოვნების ნიმუშები. ვინაიდან და რადგანაც ამ ქალაქის უნივერსიტეტების მიერ გაცემულ დიპლომებს დიდი ავტორიტეტი და ძალა აქვს, აქ დასაქმების ხარისხი ძალიან მაღალია და, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამ კუთხით მხოლოდ მეორე ადგილზე მყოფ ლონდონს ჩამოუვარდება.

9. მიწრაალი
მეცხრე ადგილზე მონრეალია. გამოკითხვაში ამ ქალაქის სამმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა. მონრეალი გვათავაზობს სტუდენტთა განსაკუთრებული ურთიერთობებისა და მრავალენოვანი მოსახლეობის ერთობლიობას. ის ბევრ საერთაშორისო მოვლენას მასპინძლობს, მათ შორის მონრეალის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალსა და Just for Laughs-ს, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური კომედიური ფესტივალია.

10. მიუნხენი
წელს მიუნხენმა სამი ადგილით წინ წაიწია და მეათე ადგილზე გავიდა. გერმანიის მოწინავე ქალაქში ცხოვრების ხარისხი საკმაოდ მაღალია. აქ ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლა მინიმალური გადასახადით არის შესაძლებელი. მიუნხენში ყოველწლიურად ტარდება ძალიან ცნობილი ლუდის ფესტივალი – Oktoberfest, რომელიც დამსახურებულად სარგებლობს მაღალი რეპუტაციით.

ირაკლი მისიშრაძი




გომონა ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ უკვე ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორია შექმნა. მაშინ, როდესაც სხვა ბავშვებთან ერთად თოჯინებით უნდა ეთამაშა, ის ქალთა განათლების უფლების დაცვისთვის იბრძოდა და არსებული დაბრკოლებების სულაც არ ეშინოდა. სიმბოლოური, რომ მისი სახელი „დარდით მოცულს“ ნიშნავს. პაკისტანის ერთ-ერთ პროვინციაში, კერძოდ სვოტის რაიონის ქალაქ მინგორაში მცხოვრებმა 11 წლის გოგონამ მალალა იუსაფზაიმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას მიიპყრო. მან სპეციალურად ბიზისისთვის დაწერა ბლოგი, რომელიც მრავლისმთქმელი და საგანგაშო აღმოჩნდა. გოგონა თავის ცხოვრებას აღწერდა, საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდნენ თალიბები სვოტის რეგიონის გაკონტროლებას და იქ მცხოვრებელ ქალებს განათლების უფლების მაქსიმალურად შეზღუდვას. ამასთან, მალალა საკუთარ პოზიციასაც აფიქსირებდა.



მალალა მამასთან, ზიაუდინ იუსაფზაისთან ერთად.

„მე ვუთხარი ჩემს თავს, მალალა, შენ უკვე ჩახედე სიკვდილს თვალებში, ეს შენი მეორე სიცოცხლეა. არ შეგეშინდეს. თუ შეშინდები, წინ ვერასდროს წახვალ“.

მალალა: ბრძოლა განათლების უფლებისათვის



მალალა იუსაფზაი 1997 წლის 12 ივლისს მუსულმანთა ოჯახში დაიბადა. წლების განმავლობაში ის მინგორაში მშობლებთან და ორ უმცროს ძმასთან ერთად ცხოვრობდა. გოგონაზე განსაკუთრებული გავლენა მამამ, ზიაუდინ იუსაფზაიმ მოახდინა. იგი პოეტია და საზოგადოებრივი აქტიურობით გამოირჩევა. მალალამ განათლება მამის დიდი მონდომების წყალობით მიიღო. ზიაუდინს პატარა გოგონას მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. ერთ-ერთ ინტერვიუში მალალამ აღნიშნა, რომ ყოველთვის ექიმობა უნდოდა, თუმცა მამის რჩევით გადაწყვიტა, პოლიტიკოსი გამხდარიყო.

2008 წლის სექტემბერში მამამ გოგონა პროვინციის დედაქალაქის პრესცენტრში წაიყვანა. განათლების უფლებაზე პირველი საჯარო განცხადება რეგიონის რადიო- და ტელეარხების წინაშე მალალამ სწორედ აქ გააკეთა: „როგორ ბედავენ თალიბები, განათლების უფლება წაგართმევენ?“ – თქვა მან. ეს საკმაოდ სახიფათო განცხადება იყო.

სვოტის რეგიონზე თალიბების გავლენა იზრდებოდა. კრძალავდნენ სატელევიზიო მაუწყებლობას, მუსიკას, ქალთა განათლებას, საყიდლებზე სიარულს. ბიზისის გაუჩნდა იდეა, რომ მოეცებინა სკოლის მოსწავლე გოგონა, რომელიც ასეთი

რეჟიმის ქვეშ თავის ცხოვრებას ანონიმურად აღწერდა. ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რისკზე წასვლის ყველას ემხინოდა. საბოლოოდ, ბიზისი მალალას მიაგნო.

2009 წლის 3 იანვარს მალალას პირველი ბლოგი გამოქვეყნდა. თალიბების ბრძანებით, 15 იანვრიდან გოგონებისთვის სწავლა აიკრძალა და ასამდე სკოლა ააფეთქეს. მალალა ამას ძალიან განიცდიდა და თავის აზრსაც მუდმივად აფიქსირებდა. ერთ-ერთ ბლოგში წერდა: „არ დადებების შემდეგ ჩვენ ყოველწლიური გამოცდები გვაქვს ჩასაბარებელი, თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გოგონებს სკოლაში წასვლის უფლებას მოგვცემენ. გარკვეული თემები მაქვს მოსაზრებები, მაგრამ თითქოს არ ვარ სწავლის განწყობაზე.“

დაახლოებით ორი თვის შემდეგ შეთანხმება შედგა და სკოლები გაიხსნა, თუმცა გოგონა წერდა, რომ დაპირისპირება თალიბებსა და სამხედროებს შორის არ შეწყვეტილა, ქუჩაში მაინც ისმოდა სროლის ხმა. „ხალხს ისევ ეშინია, რომ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელდება და ეს მხოლოდ დროებითი შესვენებაა“, – წერდა მალალა. მისი ბოლო ბლოგი 2009 წლის

12 მარტს გამოქვეყნდა, თუმცა მისი საზოგადოებრივი საქმიანობა ამით არ დასრულდა.

New York Times-ის რეპორტიორმა ადამ ელიკმა მასზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ამ დროს პაკისტანის არმია რეგიონზე კონტროლის დაბრუნებას ცდილობდა, მინგორა ევაკუირებული იყო. ზიაუდინ იუსაფზაი თალიბების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა, გოგონა კი ქალაქარეთ ნათესაებთან გაუშვეს. დოკუმენტური ფილმი მალალა ამბობს: „ძალიან მონყენილი ვარ, არ მაქვს წიგნები რომ წავიკითხო“. ზიაუდინს თალიბების მეთაური სიკვდილით ემუქრებოდა და ამ დროს გოგონამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ექიმის ნაცვლად პოლიტიკოსი გამოსულიყო. მას შემდეგ, რაც სიტუაცია დანერგა და ოჯახი სვოტში დაბრუნდა, აშშ-ს პრეზიდენტს ბარაკ ობამას სპეციალურ წარმომადგენელთან ავიღანეთსა და პაკისტანში, რიჩარდ ჰოლბრუკთან პირადად შეხვედრისას მალალამ მას თხოვნით მიმართა: „პატივცემულ ელჩო, თუ თქვენ შეგიძლიათ, რომ განათლების მიღებაში დაგვეხმაროთ, გთხოვრებ, დაგვეხმარეთ!“

დოკუმენტური ფილმის გადაღების შემდეგ, მალალა იუსაფზაიმ რამდენიმე გაზეთსაც მისცა

მას სიკვდილით ემუქრებოდნენ გაზეთებში, ფეისბუქზე, კართან უტოვებდნენ წერილებს. როცა არაფერმა გაჭრა, თალიბების ლიდერებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს. 2012 წლის 9 ოქტომბერს სკოლის ავტობუსში ავიდა ნილბანი, შეიარაღებული თალიბანი და იყვირა: „თქვით, ვინ არის მალალა, თორემ ყველას დაგხოცავთ!“ იდენტიფიცირების შემდეგ, გოგონა დაიჭრა თავში, კისერსა და მხარში. მასთან ერთად კიდევ ორი გოგონა დაიჭრა, თუმცა მათი მდგომარეობა სტაბილური იყო.



წერილი ღუფის

ირაკლი ფოთოლაშვილის ხსოვნას

სიკვდილი არაფერია. შენ უბრალოდ სხვაგან წახვედი. მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ. რასაც ერთმანეთისთვის წარმოვადგენდით ისევ ისინი ვართ. ის ძაფი, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა, არ გამწყდარა და არც არასდროს განწყდება. შენც სახელს ისევ ისე ვახსენებთ, ღუფო! ისევ ჩვენი ხარ და ისევ ისე გვიყვარხარ, როგორც ადრე...

შენმა წასვლამ ბევრი ადამიანის ცხოვრება და აზროვნება შეცვალა; ცუდად თუ კარგად, – არ ვიცი მაგრამ ვიცი, რომ შეცვალა.

ორი წელია, აღარ ხარ და ყველას ძალიან გვენატრები. შენს პირად გვერდზე ბევრი ადამიანი გამოხატავს შენს მიმართ სიყვარულსა და მონატრებას, გილოცავენ დაბადების დღეს, რაც ძალიან მახარებს. ვხვდები, რომ ისევ ცოცხლობ ხალხს მესხიერებაში და არ გივინწყებენ. ზოგმა ვიდეოკოლაჟი გაგიკეთა ფოტოებით, ზოგმა თბილი სიტყვები არ დაიშურა, ზოგმაც ლექსი დაგინერა...

„იკა, მიყვარხარ!“
„ღუფო, მენატრები!“
„გილოცავ, იკა, ძალიან გვაკლიხარ!“
„ადამიანები ვემშვიდობებით ერთმანეთს იმ იმედით, რომ კვლავაც შევხვდებით, თუმცა ცხოვრებაში დგება ის მომენტი, როდესაც ეს ასე არ ხდება. ასე დამემართა მეც, დავკარგე ძმა, მეგობარი...“

„მაშინ, ვიგრძენი, როგორ ამიღლებოდა ძარღვებში სისხლი, შუბლზე მომანვა... და იმ დღეს მივხვდი, რომ უაზრობაა ზღაპრებზე ფიქრი, ნუთუ ასე იყო საჭირო? ნუთუ ხალხს დანაკარგი ავხიზოლებს მხოლოდ?! მივაბიჯებდი და ვგრძობდი როგორ მოდიოდა ყველა ჩემი გზა შენსკენ“..

„God has you in his arms, I have you in my heart!“

ეს მხოლოდ ამონარიდებია იმ წერილებიდან, რომლებიც შენ მოგწერეს. ხომ ხედავ, როგორც გინდოდა იცა: „სანამ წახვედი, დარჩი!“ და აქ იქნები ყოველთვის, ჩვენს გულუბნებში და მესხიერებაში.

თათა კარიაშვილი

ბავშვები შევსრებივარ ფაქტს, როდესაც დედა შვილს უყვირის და სცემს კიდევ. ეს ყველაფერი ჩემზე ძალიან მოქმედებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იმ ბავშვის ადგილას ჩემს შვილს წარმოვიდგენ ხოლმე. სწორედ ამან დამაფიქრა იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მსგავს ქმედებას.

ბავშვები სამყაროს სულ სხვანაირად აღიქვამენ. მათი დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისადმი ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებულია.

ჩვენ, უფროსები, მზად ვართ, მთელი ცხოვრება მათ მიუძღვნათ და თავიც შევწირთ, მაგრამ მათ ჩვენგან სულ ცოტა რამ სურთ: ჩვენი სიყვარული და ჩვენი მშვიდი ხასიათი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – სურთ, რომ არ ვიყოთ ზედმეტად ემოციური.

ჩვენ ხომ ვერ ვხვდებით საკუთარ თავს გვერდიდან მაშინ, როცა ჩვენს საყვარელ არსებას ვუყვირთ. ჩვენ ვერ ვხვდებით

დედაო, გვიყვარდას შვილები!

ჩვენს ანთებულ, შეშლილ თვალებს, სიბრაზისგან მოღრეცილ სახეს, დაკრუნხულ ხელებს, არ გვესმის ჩვენივე ნათქვამი საშინელი სიტყვები.

სამაგიეროდ, ამ ყველაფერს ჩვენი შვილი ხედავს.

სწორედ ასეთ მომენტებში ბავშვი განიცდის შიშს, რომელიც მთელი ცხოვრება მიჰყვება და რომლისგან გათავისუფლებაც ძალიან ძნელია.

რას ვხვდებით ჩვენ?... მობუზულ არსებას, რომელიც შემინებული და აცრემლებული



თვალებით მომზირალი მხოლოდ ერთ რამეს ნატრობს: მალე დასრულდეს ეს ყველაფერი!

დაიბ, ჩვენ ამ ყველაფერს ვხვდებით, მაგრამ მაინც არაფერს ვცვლით. რატომ?

გინდ დავიჯეროთ, გინდ არა, მაგრამ ფსიქოლოგები თვლიან, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მშობელი შვილს უყვირის, არის ის, რომ მას ბავშვის შეშინება სიამოვნებას ჰგვრის, ანუ ხარობს, რომ ძალაუფლებას ფლობს მასზე. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რას

ვეუბნებით ბავშვს. ხშირად უფროსები მოზარდს „უტივინოს“, „სულელსა“ და „ზარმაცს“ უწოდებენ. ამას თუ შვილს პატარაობიდან ჩაუფერებოდა, ის მართლაც ასეთად გაიზრდება. და ბოლოს, ბავშვისთვის ყველაზე მთავარი მშობლების სიყვარული და ბავშვის ინტერესების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა. ასევე, სიმშვიდე ოჯახში და არანაირი ფიზიკური დასჯა. მე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი თათა

კარიაშვილი ვარ, მყავს წლისა და შვიდი თვის შვილი, ანასტასია. ამ ადამიანმა ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე შეცვალა. ანასტასიამ ჩემს ცხოვრებაში ნათელი ფერები, ხალისი და ცხოვრების მიზანი შემოიტანა. რა თქმა უნდა, ანასტასია რომ არ ყოფილიყო ეს თემა მაინც მიმიე იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ ვისაც შვილი ჰყავს, დამერწმუნება, რომ მას ეს ყველაფერი უფრო მეტად მიაქვს გულთან. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ბევრი სტუდენტი დედა სწავლობს, რომლებმაც მინდა ჩემი ეს საგაზეთო წერილი მაგალითად გამოიყენონ, შეიტყონ ის, თუ რა არ უნდა ჩაიდინონ ბავშვის თანდასწრებით და როგორ უნდა მოეპყრან მას.

გიყვარდეთ თქვენი შვილი ისეთი, როგორც ის არის - თავისი კაპრიზებით, არასწორი საქციელითა და პატარ-პატარა ურჩობებით.

თათა კარიაშვილი

